წერილის ნომერი: **18-01220183308**
თარიღი: **18/01/2022**
პინი: **0527**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N60-0122011369
წერილის თარიღი:	11 იანვარი, 2022
განმცხადებელი:	ნოდარ მუმლაძე
განაცხადის N	AR1866838
მისამართი	ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.72.14.009.523
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალფუნქციური კომლექსი; IV კლასი **(I ნაკვეთი, II ბლოკი)**
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გამწვანების პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	განკარგულება №162 თარიღი: 29 აპრილი, 2021
არსებული შეზღუდვები	----------
ფართობ(ებ)ი:	11656 კვ.მ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,დრიმ პალასი“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: დადებითი	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,კანონი“) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი (ცხრილი N4), კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი, კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული

„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტი, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი, 26-ე მუხლის მე-4 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

გაცნობებთ, რომ გამწვანებული სივრცის მოსაწყობად, დასარგავად შემოთავაზებული 352 ძირი ნერგი (28 ძირი ჰიმალაის კედარი, 6 ძირი ცხენისწაბლა, 20 ძირი კავკასიური აკაკი, 20 ძირი კავკასიური ცაცხვი, 20 ძირი რობინია, 258 ძირი კვიდო (ცოცხალი ღობის სახით)) სრულად ითვისებს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით კ3 გამწვანების სავალდებულოდ ასათვისებელ ფართობს (3848 კვ.მეტრს). გასამწვანებლად შემოთავაზებული მცენარეები შერჩეულია ქ. თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობების გათვალისწინებით. **ამდენად, სამსახური თანახმაა არსებული სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

აქვე ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ მოცემული გამწვანების პროექტით გათვალისწინებულია ერთიანი გამწვანებული სივრცის მოწყობა ორი მიწის ნაკვეთისათვის :01.72.14.009.523, 01.72.14.009.443.

მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა, თუ ისინი პირდაპირ აფერხებენ მშენებლობას და სამშენებლო ტერიტორიაზე მათი დატოვება შეუძლებელს გახდის მშენებლობის განხორციელებას. ვინაიდან განმცხადებლის სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული 5 ძირი ბუჩქოვანი ნერგი, ხელს უშლის მშენებლობის განხორციელებას და ვინაიდან, მათი მოჭრით არ დაირღვევა ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, **შესაბამისად, სამსახური გასცემს 5 ძირი ბუჩქის (N1ძეძვი -2ცმ, ესპანური კურდღლისცოცხა: N2-1ცმ, N3-1.5ცმ, N4-1ცმ, N5-1ცმ)** ***მოჭრის ნებართვას, მას შემდეგ რაც განმცხადებელი სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვასა და ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანისთვის აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარს, რომელიც შეადგენს 225 (ორას ოცდახუთ) ლარს. (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი- #300773292 ბანკის კოდი-TRESGE22).***

აქვე გაცნობებთ, რომ დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე 15 ერთეულზე ნაკლები და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-კენკროვანი მცენარის მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს. აქედან გამომდინარე, ***ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე მოსაჭრელი/გადასარგავი ხილ-კენკროვანი მწვანე ნარგავების რაოდენობა არ აღემატება 1 (ერთ) ძირს, შესაბამისად, 1 ძირი მაყვლის ბუჩქის მოჭრა/ გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.***

ინფორმაციისთვის

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

გაცნობებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების

წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის 51-ე პუნქტი).

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დენდროლოგიური პროექტი
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზო
ქ.თბილისი, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა

თბილისი
2021

განმარტებითი ბარათი

საპროექტო ტერიტორიის ს/კ 01.72.14.009.523, ს/კN01.72.14.009.443 საერთო ფართობია 11656 კვ.მ, 1100 კვ.მ,
გასამწვანებელი ფართობი - 3848 კვ.მ.

ნაკვეთის დათვალიერების და ტოპოგრაფიული გეგმისა და მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არის 6 ერთეული მწვანე ნარგავი. ექვსივე არის ჯანსაღი ბუჩქი.

დენდროლოგიური პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ტერიტორიის გასუფთავება სარეველებისა და ქვა-ღორღისაგან, არსებული მცენარეების საპროექტო ტერიტორიაზე გადარგვა და დამატებით ახალი ხე-მცენარეების დარგვა, ცოცხალი ღობის მოწყობა და გაზონის დაგება.

საპროექტო მცენარეებად შეირჩა, როგორც ფოთლოვანი, ასევე წიწვოვანი ხეები. კერძოდ: ჰიმალაის კედარი, ცხენისწაბლა, კავკასიური აკაკი, რობინია ცრუაკაცია, კავკასიური ცაცხვი და ცოცხალი ღობისთვის შერჩეულია მარადმწვანე ფოთლოვანი ბუჩქი - იაპონური კვიდო.

მიწის საფარი ცარიელ ადგილებზე და ხეების ქვეშ დაიფარება მულჩით ან გაზონით.

მცენარეების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა საპროექტო სივრცის თავისებურება და ფუნქცია.

დენდროლოგიური პროექტი მომზადებულია საექსპერტო დასკვნის საფუძველზე, რომელიც შესრულებულია მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი ექსპერტის, მანანა ელბაქიძის მიერ.

დამკვეთი:	ტარიელ გიორგაძე	პროექტის დასახელება:	ნახაზის დასახელება;		A3
შემსრულებელი:	ქეთევან გელაშვილი Ketewangelashvili@gmail.com	მრავალბინიანი საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის დენდროპროექტი	განმარტებითი ბარათი	დ-2	თბილისი 27.04.2021

არსებული სიტუაცია, კ3 საანგარიშო კროკი







N

გამწვანების კროკი
მ. 1:1000

კ3 = 3848 მ^2 - 0.3



დამკვეთი:	ტარიელ გიორგაძე	პროექტის დასახელება:	ნახაზის დასახელება;	1:500	A3
შემსრულებელი:	ქეთევან გელაშვილი Ketewangelashvili@gmail.com	მრავალბინიანი საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის დენდროპროექტი	არსებული სიტუაციის გეგმა კ3 საანგარიშო კროკი	დ-3	თბილისი 27.04.2021

არსებული მცენარეების გეგმა



არსებული შესანარჩუნებელი და გადასარგავი მცენარეები

№	მერქნიანი სახეობა	დიამეტრი 10სმ-ზე	შენიშვნა
1	ძეძვი	1-2	გადასარგავი
2	კურდღლისცოცხა	05-1	გადასარგავი
3	კურდღლისცოცხა	05-1	გადასარგავი
4	კურდღლისცოცხა	05-1	გადასარგავი
5	კურდღლისცოცხა	05-1	გადასარგავი
6	მაყვალი	05-1	მოსაჭრელი

დამკვეთი:	ტარიელ გიორგაძე	პროექტის დასახელება:	ნახაზის დასახელება;		A3
შემსრულებელი:	ქეთევან გელაშვილი Ketewangelashvili@gmail.com	მრავალბინიანი საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის დენდროპროექტი	არსებული მცენარეების გეგმა		თბილისი 27.04.2021

დენდროლოგიური გეგმა



პირობითი აღნიშვნები

- წიწვოვანი ხე
- ფოთლოვანი ხე
- გადასარგავი ბუჩქები
- ცოცხალი ღობე
- გაზონი

დამკვეთი:	ტარიელ გიორგაძე	პროექტის დასახელება:	ნახაზის დასახელება;	1:1000	A3
შემსრულებელი:	ქეთევან გელაშვილი Ketewangelashvili@gmail.com	მრავალბინიანი საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის დენდროპროექტი	დენდროლოგიური გეგმა	დ-4	თბილისი 27.04.2021

ნარგავების დარგვის სქემა





დამკვეთი:	ტარიელ გიორგაძე	პროექტის დასახელება:	ნახაზის დასახელება;	1:500	A3
შემსრულებელი:	ქეთევან გელაშვილი Ketewangelashvili@gmail.com	მრავალბინიანი საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის დენდროპროექტი	დარგვის სქემა	დ-6	თბილისი 27.04.2021

საპროექტო მცენარეთა ექსპლიკაცია

№	მცენარის დასახელება		სასიცოცხლო ფორმა	რაოდენობა	რაოდ. ერთეული	სიმაღლე	გარშემოწ.
1	ძეძვი (არსებული მც.)	Paliurus spina-christi	ბუჩქი	1	ცალი		
2,3,4,5	კურდღლისცოცხა (არსებული მც)	Spartium junceum	ბუჩქი	4	ცალი		
6	ჰიმალაის კედარი	Cedrus deodara	წიწვოვანი ხე	28	ცალი	3 მ	20 სმ
7	რობინია, ცრუაკაცია	Robinia pseudoacacia	ფოთლოვანი ხე	20	ცალი	3,5 მ	20 სმ
8	ცხენისწაბლი	Aesculus hippocastanum	ფოთლოვანი ხე	20	ცალი	3,5 მ	20 სმ
9	კავკასიური აკაკი	Celtis caucasica	ფოთლოვანი ხე	6	ცალი	3,5 მ	20 სმ
10	ცაცხვი	Tilia begoniifolia	ფოთლოვანი ხე	20	ცალი	3.5 მ	20 სმ
11	იაპონური კვიდო	Ligustrum japonicum	მარადმწვანე ფოთლოვანი ბუჩქი (საბორდიურე)	86/ 258	გრძივი მ./ ცალი		
12	გაზონი			1500 კვ.მ			

ალტერნატიული მცენარეები

მჩხვლეტავი (ცისფერი) ნაძვი - Pice pungens
ორნაკვთიანი გინგკო - Gingko biloba
ზეთისხილი - Olea europaea
ქორაფი (ნეკერჩხალი) - Acer cappadocicum
იფანი - Fraxinus exelsior
წითელი ტყემალი - Prunus cerasifera pisardii
ტირიფი - salix babylonica
ტუია (ცოცხალი ღობისთვის, საბორდიურე) - Thuja occidentalis

შენიშვნები:

1. მცენარეები შერჩეულია კლიმატური, დეკორატიული და ურბანული გარემოს გათვალისწინებით;
2. მოცემული მცენარის ჩანაცვლება შესაძლებელია მოხდეს ალტერნატიული მცენარეებით ან ავტორთან შეთანხმებით;
3. ცოცხალი ღობის (კვიდო, ტუია) მოწყობისას გრძივ მეტრში შეიძლება დაირგოს 3-5 მცენარე. რაოდენობა განისაზღვროს სარგავი მასალის ზომიდან გამომდინარე;
4. ხეების ქვეშ არსებული მიწის ზედაპირი შეიძლება დაიფაროს მულჩით ან გაზონით;
5. გაზონის ფართობი ადგილზე დაზუსტდეს დაგების წინ;
6. მცენარეთა ჩარგვისას დაცულ იქნას აგროტექნიკური ნორმები.

დამკვეთი:	ტარიელ გიორგაძე	პროექტის დასახელება:	ნახაზის დასახელება;		A3
შემსრულებელი:	ქეთევან გელაშვილი Ketewangelashvili@gmail.com	მრავალბინიანი საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის დენდროპროექტი	მცენარეთა ექსპლიკაცია	დ-6	თბილისი 27.04.2021

საპროექტო მცენარეები

6 ჰიმალაის კედარი
Cedrus deodara



7 ცხენისწაბლა
Aesculus hippocastanum



8 კავკასიური აკაკი
Celtis caucasica



9 რობინია, ცრუაკაცია
Robinia pseudoacacia



10 ცაცხვი
Tilia tomentosa



11 კვიდო
Ligustrum



დამკვეთი:	ტარიელ გიორგაძე	პროექტის დასახელება:	ნახაზის დასახელება;		A3
შემსრულებელი:	ქეთევან გელაშვილი Ketewangelashvili@gmail.com	მრავალბინიანი საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის დენდროპროექტი	საპროექტო მცენარეები	დ-7	თბილისი 27.04.2021

ალტერნატიული მცენარეები

მჩხვლეტავი ნაძვი
Picea pungens



ორნაკვთიანი გინგკო
Gingko biloba





ზეთისხილი
Olea eurapaea



ქორაფი (ნეკერჩხალი)
Acer cappadocicum



ჩვეულებრივი იფანი
Fraxinus excelsior



წითელი ტყემალი
Prunus cerasifera
var. pisardii



ტირიფი
Salix babylonica



დასავლური ტუია
Thuja occidentalis



დამკვეთი:	ტარიელ გიორგაძე	პროექტის დასახელება:	ნახაზის დასახელება;		A3
შემსრულებელი:	ქეთევან გელაშვილი Ketewangelashvili@gmail.com	მრავალბინიანი საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის დენდროპროექტი	ალტერნატიული მცენარეები	დ-8	თბილისი 27.04.2021

შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალი

	შესასრულებელი სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	შენიშვნა
1	გასამწვანებელი ტერიტორიის გასუფთავება სარეველებისა და ქვა-ღორღისაგან	კვ. მ	3848	
2	მოსაჭრელი მცენარეების მოჭრა	ცალი	1	მაყვლის ბუჩქი
3	სარგავი ორმოების ამოღება ბუჩქებისთვის (0,5X0.5X0.5), ორმოებში 50 % ნოყიერი მიწის დამატება	ცალი	5	
	გადასარგავი ბუჩქების გადარგვა	ცალი	5	
4	სარგავი ორმოების ამოღება ხეებისთვის (0,8X0,8X0,8, 50 % ნოყიერი მიწის დამატება	ცალი	94	
5	საპროექტო ხეების დარგვა	ცალი	94	
6	საპროექტო ბუჩქების დარგვა	ცალი/გრძ.მ	258/ 86	კვიდოს ცოცხალი ღობისთვის
7	ახლადდარგული მცენარეების მორწყვა	ცალი		ყველა მცენარე
8	ხეების დამაგრება	ცალი		ყველა მცენარე
8	გაზონის დაგება და მორწყვა	კვ.მ	1500	

შენიშვნები:

1. მცენარეები შერჩეულია კლიმატური, დეკორატიული და ურბანული გარემოს გათვალისწინებით;
2. მოცემული მცენარის ჩანაცვლება შესაძლებელია მოხდეს ალტერნატიული მცენარეებით ან ავტორთან შეთანხმებით;
3. უზრუნველყოფილ იქნას მცენარეთა მორწყვა მთელი სავეგეტაციო პერიოდის მანძილზე
4. მცენარეების დარგვა და გადარგვა განხორციელდეს არასავეგეტაციო პერიოდში და აგროტექნიკური ნორმების დაცვით.

დამკვეთი:	ტარიელ გიორგაძე	პროექტის დასახელება:	ნახაზის დასახელება;		A3
შემსრულებელი:	ქეთევან გელაშვილი Ketewangelashvili@gmail.com	მრავალბინიანი საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის დენდროპროექტი	სამუშაოთა მოცულობა	დ-9	თბილისი 27.04.2021

ვიზუალიზაცია



დამკვეთი:	ტარიელ გიორგაძე	პროექტის დასახელება:	ნახაზის დასახელება;		A3
შემსრულებელი:	ქეთევან გელაშვილი Ketewangelashvili@gmail.com	მრავალბინიანი საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის დენდროპროექტი	ვიზუალიზაცია	დ-10	თბილისი 27.04.2021

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: ტარიელ გიორგაძე, პ.ნ. 21001003069

საკადასტრო კოდი: 01.72.14.009.523, 01.72.14.009.443
მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

კ-3: 0,3 -3848 კვ.მ.

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი:
დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: 2024 წ

მცენარეთა დასახელება		ათვისებული ფართობი
28 ძირი ჰიმალაის კედარი	Cedrus deodara	700 კვ.მ
6 ძირი ცხენისწაბლა	Aesculus hippocastanum	150 კვ.მ
20 ძირი კავკასიური აკაკი	Celtis caucasica	500 კვ.მ
20 ძირი კავკასიური ცაცხვი	Tilia begoniifolia	500 კვ.მ
20 ძირი რობინია	Robinia pseudoacacia	500 კვ.მ
258 ძირი კვიდო (ცოცხალი ღობე)	Ligustrum japonicum	1548 კვ.მ
გაზონი		1500 კვ.მ

ახლადდარგულ ხე-მცენარეთა მოვლაზე პასუხისმგებელი პირი:
ტარიელ გიორგაძე, პ.ნ. 21001003069

ახლადდარგული ხე-მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი





2021/9/13 12:54


2021/9/13 12:55